საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №22/ნ
2014 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით (სსმ III, 22.04.2009წ., №49, მუხ. 555) დამტკიცებულ სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებაში (დანართი №1) შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-19 მუხლის:

1. **პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „გ"–„ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში."

2. **მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი**

„4. ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-4 პუნქტის „გ"-„ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი იხსნება გამოცდიდან, რაც ფორმდება ოქმით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად."

3. **მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ა^1 ქვეპუნქტი:**

„ა^1) ამ დებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;"

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**